განმარტებითი ბარათი

„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში" ცვლილების შეტანის შესახებ" რეგლამენტის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:

რეგლამენტის პროექტის შემუშავების მიზეზს წარმოადგენს კონკრეტული რეგულაციის შემოღება, რომელიც შეეხება პეტიციის ან საჩივრის შესასწავლად შექმნილი პარლამენტის დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადის გაზრდას.

გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტი, მისი სტრუქტურიდან და საკადრო რესურსიდან გამომდინარე ამ ეტაპზე ვერ უზრუნველყოფს კანონპროექტების ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხის სრულფასოვნად დადგენას.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი:

რეგლამენტის პროექტის მიღების მიზანია, საჭიროების შემთხვევაში პეტიციის ან საჩივრის შესასწავლად შექმნილი პარლამენტის დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადის გაზრდა. გამომდინარე იქიდან, რომ პეტიციითა და საჩივრით გათვალისწინებული საკითხი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეიძლება საჭიროებდეს კომისიის უფლებამოსილების ვადის გაზრდას, შესაბამისად რეგლამენტის აღნიშნულმა ნორმამ უნდა დაარეგულიროს წარმოდგენილი საკითხი. პროექტის მიზანს, ასევე წარმოადგენს კანონპროექტების ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობისათვის დადგენილი ვადის გადაწევა.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის თანახმად რეგლამენტის 74-ე მუხლის პირველ პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისადაც რეგულირდება კომისიისათვის უფლებამოსილების გაზრდის საკითხი. ამასთანავე, პროექტის მიღების მიზეზიდან გამომდინარე, ცვლილება შედის რეგლამენტის 272-ე მუხლის მე-3 პუნქტში, რომლითაც 149-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის ამოქმედება გადავადდება 2011 წლის 1 იანვრამდე.

დ) პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი პროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება არ იწვევს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება არ იწვევს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

არ არსებობს.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

აღნიშნული პროექტი არ აწესებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობას.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.

გ.ა) რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

არ არის მიმართებაში ევროკავშირის დირექტივებთან.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

არ არის მიმართებაში საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

რეგლამენტის პროექტის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აღნიშნული პროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის(დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი შეფასებები არ არესებობს

დ.გ) რეგლამენტის პროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი.

დ.დ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი.